მანანა სანაძე

# ბიბოს ზღაპრები

## წიგნი I

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2017

ავტორი: მანანა სანაძე
რედაქტორი: ნანა შავთვალაძე
მხატვარ-ილუსტრატორი: ზალიკო სულაკაური
ტექნიკური რედაქტორი: ჯულიეტა ანდღულაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნათია დვალიშვილი

ქართული გამოცემა © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017
მისამართი: კოსტავას ქ. 77, თბილისი 0171, საქართველო.
ტელ.: 032 2 55 22 22

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი არანაირი ფორმით ან საშუალებით არ შეიძლება გამოყენებული იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

**ISBN 978-99940-50-35-2**

დაიბეჭდა საქართველოში.

# სარჩევი

რა შეემთხვა პომიდორას? 5

როგორ გაითქვა სახელი პაცარა მსხალამ? 29

ფორთოხალა და ფორთოხლის ცორცი 47

კვახუნა და მისი ზაფხულის არდადეგები სოფელ კიცროვანში 65

ხახვა და დელფინები 89

ბებია კვლავ

ბებია კვახას სულ ერთი შვილი ჰყავდა და ერთი შვილი-შვილი, ჩვენთვის უკვე ნაცნობი, პატარა კვახუნა, რომელიც თავის დედიკოსთან ერთად ქალაქში ცხოვრობდა და ბებოს ხშირად ვერ აკითხავდა, უფრო ზაფხულში ჩადიოდა ხოლმე სოფელში. და მაინც, ბებია კვახა ამის გამო ხახვებზე ნაკლებად ბედნიერად როდი გრძნობდა თავს, არც მოწყენილობას უჩიოდა. ან კი მოსაწყენად სად ეცალა? სოფლის ბიჭუნები და გოგონები მას ხომ ხშირად სტუმრობდნენ. მიირბენდნენ ხოლმე – კარტოფილა, სტაფილუნა, ბროკოლა, ალუბალა, პრასუნა, პომიდორა, ფორთოხალა, ხახვა, ყურძენა და სხვები ბებია კვახასთან, მის მყუდრო ოთახში ძველებური თუჯის ღუმელთან მოიკალათებდნენ პატარ-პატარა რბილ ბალიშებზე; შეექცეოდნენ ბებია კვახას მიერ მათთვის საგანგებოდ გამომცხვარ ქიშმიშიან და ნიგვზიან გოგრის კვერებს და უსმენდნენ ბებია კვახას ზღაპრებს. ზღაპრები – კეთილ და ბოროტ ადამიანებზე, უცნაურ ჯადოქრებსა და ფერიებზე, ნატვრის თვლებზე, ჯადოსნურ ქოთნებსა და შიგდამწყვდეულ ჯინებზე, მფრინავ ხალიჩებზე, საყვარელ და გამრჯე ჯუჯებზე, მძინარე მზეთუნახავებსა და მამაც უფლისწულებზე და კიდევ ვინ იცის, რაზე არ მოუთხრობდნენ ბავშვებს.

დედიკო ხახვი, პომიდორი, ალუბალი, სტაფილო და სხვებიც თავიანთ შვილებს ხშირად ეუბნებოდნენ ხოლმე: ნუ შეაწუხეთ მოხუცი ქალი, სირცხვილია, ხანდახან მაინც მოასვენეთო.

მაგრამ ბებია კვახას სახლი ანდამატივით იზიდავდა ბავშვებს. ხანდახან რაღაც ახალი სათამაშოთი ან ახლად მოგონილი თამაშით გართულები რამდენიმე დღე თუ არ გამოჩნდებოდნენ ბებია კვახას სახლის ზღურბლზე, მერე მაინც უცბად ვიღაცა წამოიძახებდა: არ გინდათ, ბებია კვახა მოვინახულოთო?... და ბავშვებიც სიხარულით ბებია კვახას სახლისაკენ გარბოდნენ.

სოფელ კიტროვანში გამრჯე და მხიარული ხალხი ცხოვრობდა. კარტოფილას მშობლებს კარტოფილი მოჰყავდათ, ალუბლებისა და ფორთოხლების ოჯახებს ალუბლისა და ფორთოხლის მშვენიერი ბაღები ჰქონდათ, პატარა გოგონა ყურძენას დედ-მამა კი კიტროვანში დიდი ვენახებისა და ზვრების მფლობელი იყო, ხახვას მშობლები ბოსტანში ხახვის მწკრივებს უვლიდნენ. პომიდორას მამიკო, ბატონი პომიდორი, კი თავისი უგემრიელესი პომიდვრების მოსავლით იწონებდა თავს...

ისე პომიდვრების ოჯახი ამას წინათ დიდ განსაცდელს გადაურჩა! აი, კვირაზე მეტია, რაც მთელი სოფელი პატარა ბიჭუნას, პომიდორას ამბავს ყვება.

— პირდაპირ მზარავს იმის წარმოდგენა, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო! — შეწუხებული ეუბნება დედიკო ხახვი თავის მეზობელ კარტოფილს.

– ნუ იტყვი, ნუ იტყვი, მართლაცდა მტერს არ ვუსურვებ ისეთ უბედურებას, რაც კინაღამ პომიდვრების ოჯახში დატრიალდა... – კვერს უკრავს კარტოფილი,



– მე რომ მკითხონ, სიჩქარის გადაჭარბებისა და უყურადღებობისათვის მძღოლი სასტიკად უნდა დაისაჯოს! – თავის აღშფოთებას ვერ მალავს დედიკო კარტოფილი.



— იცი, მთლად მძღოლსაც ვერ დავაბრალებთ თურმე, — ცდილობს კარტოფილის ბრაზის დაცხრობას ხახვი, — მოსამართლე მსხლის ცოლმა, ქალბატონმა მსხალმა, როგორც მითხრა, მძღოლი მაღალი სიჩქარით არ მოძრაობდა, თანაც გზაც მისი ყოფილა და ბავშვი შევარდნია მანქანას პირდაპირ ბორბლებში.

მართლაცდა პომიდორა ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს. ბიჭუნას უყურადღებობა ქუჩაზე გადასვლისას ძალზე ძვირი დაუჯდა... საავადმყოფო, ოპერაცია, ნემსები... როგორ მოხდა ყველაფერი კი სჯობს, სულ, სულ თავიდან მოვყვეთ.

ერთი ჩვეულებრივი დღე იდგა. გაზაფხულის სურნელი ჰაერში ტრიალებდა. ქუჩები ხეებიდან დაცვენილი თეთრი ყვავილებით ისე იყო დაფენილი, გეგონებოდათ, თოვლი მოსულაო. პომიდორა თავის მეგობრებთან ერთად სკოლაში, საკლასო ოთახში, იჯდა. მასწავლებელი სტაფილო კი თავისი გრძელი და, მართლაც რომ, სტაფილოსფერი ცხვირითა და ხელში მომარჯვებული კიდევ უფრო გრძელი ჯოხით ბავშვებს საგზაო მოძრაობის ნიშნებს უჩვენებდა და მათ მნიშვნელობას უხსნიდა. მაგრამ პომიდორას საგზაო მოძრაობის ნიშნებისა თუ შუქნიშნებისათვის სად ეცალა, როდესაც მარცხენა რიგში მისგან ორი მერხით წინმჯდომი პატარა გოგონა, მარწყვა, გვერდით მჯდომ ბიჭუნას, ბროკოლას, ყურში რაღაცას უჩურჩულებდა?

მარწყვა უსაყვარლესი, წითელლოყება და შავკულულება, მხიარული და მოკისკისე გოგონა იყო. მისი ოჯახი კიტროვანში სულ რამდენიმე კვირის უკან დასახლდა და მარწყვამაც კიტროვანის სკოლაში დაიწყო სიარული. მიუხედავად მცირე დროისა, მარწყვამ უამრავ ბავშვთან მოასწრო დამეგობრება. აი, მუგუზალივით შავთვალება მაყვალა, მორცხვი და წითელტუჩება ჟოლო და ტყუპი დები – ალუბლები, ხომ მარწყვას აღარ შორდებოდნენ, მუდამ თან დაჰყვებოდნენ, მასთან ერთად თამაშობდნენ და იცინოდნენ.

ბიჭუნებიც არ იყვნენ მარწყვას მიმართ გულგრილები, სულ მის ახლოს ტრიალებდნენ და იმაზე ფიქრობდნენ, რა ექნათ, რომ მარწყვას ყურადღება მიეპყროთ.

ნეტავი რაზე ეჩურჩულება მარწყვა ბროკოლას ან ბროკოლა რაზე იღიმება? ბედი რომ მქონოდა, მარწყვას ბროკოლასთან კი არა, ჩემ გვერდით დასვამდა სტაფილო მასწავლებელი! – გაიფიქრა პომიდორამ და ამოიოხრა. თან გვერდით მჯდომ კარტოფილას გადახედა, რომელიც ყურადღებით უსმენდა მასწავლებელს.

ახლა შუქნიშანზე ვისაუბროთ, – თქვა სტაფილომ და კედელზე დაკიდულ ეკრანზე მანქანებით სავსე გზაჯვარედინი, იქვე აღმართული შუქნიშნებით, და ქუჩაზე გადასასვლელად მწვანე შუქის მომლოდინე ხალხი გამოჩნდა.

– აბა, ხახვა, მიპასუხე შუქნიშნის რომელი ფერი გვაძლევს ქუჩაზე გადასვლის უფლებას?

– მწვანე, – პასუხობს ხახვა, – ყოჩაღ... აბა, კარტოფილა, გადამსვლელებისათვის როცა მწვანე შუქი ანთია, მაშინ მძღოლები მოძრაობის ამკრძალავ რა ფერის შუქს ხედავენ?

– წითელს!

– კარგია!

– აბა, ფორთოხალა, როდესაც მანქანებისათვის მოძრაობის უფლების მიმცემი მწვანე შუქი ანთია, მაშინ ქუჩაზე გადამსვლელებს რა ფერის შუქი უკრძალავს მოძრაობას?

მაღლა მთებში თხილამურებით გატარებული აღდგომის არდადეგებიდან დაბრუნებულმა, მართლაც რომ, ფორთოხლისფრად გარუჯულმა ფორთოხალამ თვალები დაბნეულად ააფახურა და ენის ბორძიკით ძლივს გასაგონად დაიკნავლა – მწვანე.

კლასში ხმაური და ხორხოცი ატყდა.

– რას ამბობ ფორთოხალა, მწვანე კი არა, წითელი, წითელია, ქუჩაზე რომ გადასვლას კრძალავს.

ხმაურმა პომიდორა მძიმე ფიქრებიდან გამოიყვანა და კლასში დააბრუნა.

– ნეტავი რაზე იცინიან ბავშვები ან ფორთოხალა ასე შეწუხებული რატომაა? – გაიფიქრა პომიდორამ და საკითხავად გვერდით მჯდომი კარტოფილასკენ მიბრუნდა, მაგრამ... ზარი დაირეკა და ბავშვები ხმაურით წამოიშალნენ. ზონზროხა და ჩხუბისთავი კარტოფილა კი თვალის დახამხამებაში უკვე კარში მიგორავდა, იქიდან კიბეზე და...

– კარტოფილა, მომიცადე, სად გარბიხარ... – მიაძახა მეგობარს პომიდორამ და ის იყო გადევნება გადაწყვიტა, რომ მარწყვას კისკისი გაიგონა. გოგონების გუნდმა სიცილით ჩაუარა პომიდორას.

– ჟოლო, შენ ვისი გულშემატკივარი ხარ? – ჰკითხა მარწყვამ ჟოლოს და დაამატა... – მე ბროკოლას გუნდს ვუჭერ მხარს, დარწმუნებული ვარ, კარტოფილას გუნდს აჯობებენ!

ახლა კი მიხვდა პომიდორა, რატომ გაიქცა ასე სწრაფად კარტოფილა. დღეს ხომ ფეხბურთის დღე იყო და ბროკოლას გუნდი კარტოფილას გუნდს ეთამაშებოდა. პომიდორა კი კარტოფილამ მსხალას ნაცვლად სულ ახლახან შეიყვანა თავის გუნდში.

– მსხალამ ფეხბურთი ვიოლინოს წრიპინზე გაცვალა. – გაიფიქრა პომიდორამ და მხრები აიჩეჩა.

დასაკარგი დრო აღარ იყო და პომიდორა ელვის სისწრაფით კიბეზე დაეშვა, ეზო გაირბინა, ქუჩაში გავარდა და...

სკოლის წინ შუქნიშანი იდგა. შუქნიშანი სულ ახალი დაყენებული იყო. სოფლელების ერთსულოვანი მოთხოვნით სოფლის გამგეობამ და გამგებელმა ის საზეიმოდ აღმართეს, რათა თანასოფლელებისათვის ეჩვენებინათ, რომ მათი სურვილი გამგეობისათვის კანონია. მართლაცდა, სოფლელების ესოდენ დაჟინებული მოთხოვნა იოლი გასაგები იყო. მდინარე კიტრას-წყლის მარცხენა სანაპიროს ფართო გზატკეცილი მიუყვებოდა, რომელიც სწორედ სკოლის წინ გადიოდა და სოფელს გარე სამყაროსთან აკავშირებდა. გზაზე ავტობუსები, მსუბუქი თუ სატვირთო მანქანები წარამარა მიდი-მოდიოდნენ და მშობლები, ბუნებრივია, შუქნიშნის აღმართვამდე თავს მშვიდად ვერა და ვერ იგრძნობდნენ.

შუქნიშანზე წითელი შუქი ანათებდა. პომიდორას წითელი ფერი ძალიან უყვარდა. ახლაც, როცა წითელი ფერი დაინახა, არც კი დაფიქრებულა, მოპირდაპირე ტროტუარისაკენ ისე გაექანა. დამუხრუჭების ხმა გაიგონა, საშინელი დარტყმა იგრძნო. ტკივილისაგან თვალთ დაუბნელდა და გული წაუვიდა.

— ბავშვს მანქანა დაეჯახა. ვაი, ვაი, გვიშველეთ! — იხუვლეს იქვე ტროტუარზე მიმავალმა გამვლელებმა.

— სასწრაფოს გამოუძახეთ! სასწრაფოს! — ყვიროდა ვიღაცა.

მთლად გალურჯებული ბადრიჯანი მანქანიდან გადმოხტა...

— ვაი, ვაი ეს რა დამემართა, დავამუხრუჭე, მაგრამ მაინც ვერ ავაცილე! ან კი როგორ ავაცილებდი? პირდაპირ ბორბლებში შემომივარდა! — სასოწარკვეთილი ქოთქოთებდა ბადრიჯანი. ქუჩაში მოძრაობა შეწყდა, ხალხი პომიდორას თავს ეხვეოდა. იქვე აღმოჩნდა პოლიციელი მუხუდო, რომელიც ხელოვნური სუნთქვით ბიჭუნას მობრუნებას ცდილობდა. პომიდორა სისხლისაგან იცლებოდა. მალე სასწრაფო დახმარების მანქანაც მოვარდა და პომიდორა საავადმყოფოში გააქანა. ბიჭუნას ბადრიჯანი და რამდენიმე გამვლელიც გაჰყვა. მათ შორის პომიდორას მეზობელი ქალბატონი ხახვიც იყო, ხახვას დედა, რომელმაც მომხდარის შესახებ დედიკო და მამიკო პომიდვრებს სასწრაფოდ აცნობა.

დედიკო და მამიკო პომიდვრები გულგახეთქილები საავადმყოფოში მისცვივდნენ. ამდენი სისხლის დაკარგვისაგან პომიდორა სულ დაჩუტულიყო. ექიმი ასკილი პომიდორასთვის სისხლის გადასხმას სასწრაფოდ ითხოვდა, მაგრამ ბიჭუნას ჯგუფის სისხლი საავადმყოფოში არ მოიძებნა. ახლა პომიდორას მხოლოდ დედიკო და მამიკო თუ უშველიდნენ. დედ-მამა პომიდვრები საოპერაციო ოთახში შეიყვანეს, პომიდორას ორივე მხრიდან დაუწვინეს და სისხლის გადასხმა დაიწყო.

მალე პომიდორას სახეზე ფერი მოუვიდა და ლოყებიც თანდათან ისევ დაებერა. სისხლის გადასხმა როდესაც დას-

რულდა, ექიმმა ასკილმა
ბიჭუნას ჭრილობა
წითელი ძაფით გაუკერა.
ნაკერი დიდი იყო, მაგრამ
ექიმმა პომიდვრებს შვილის
გადარჩენა როცა მიულოცა,
დაამშვიდა: ნუ ინაღვლებთ, ეს
ნაკერი თქვენს ბიჭუნას ცოტა
ხანში სულ არ დაემჩნევაო.

პომიდორა კიდევ ერთი
თვე საავადმყოფოში იწვა.
მისი მეგობრები მასთან სანახავად
ყოველდღე მიდიოდნენ. სტაფილო
მასწავლებელიც მივიდა და თქვენ
წარმოიდგინეთ, სკოლის დირექტორმა,
ქალბატონმა კომბოსტომაც,
მოინახულა პომიდორა.

ძალიან რცხვენოდა პომიდო-
რას, რომ მისი გაუფრთხილებლობით
ირგვლივ ყველა დააღალატა:
ფეხბურთის თამაში ხომ ჩაიშალა,
დედ-მამა პომიდვრები, საწყლები,
სულ მთლად გათეთრდნენ ამდენი ნერვიულობით...



ბატონი ბადრიჯანი, ცნობილი ინჟინერი, რომელიც სოფელში ხიდის შესაკეთებლად ჩამოვიდა, სასამართლოში აღმოჩნდა დაბარებული. საქმეს ახლა მოსამართლე მსხალი იძიებდა. ვინ იცის, პატიოსან კაცს ციხეშიც კი მოუწიოს ჩაჯდომა, არადა მისი რა ბრალია, რომ პომიდორა ასე ცუდად მოიქცა? შუქნიშანს ყურადღება არ მიაქცია, ქუჩაში გადასვლის წესები არ დაიცვა, კინაღამ თავიც დაიღუპა და სხვებიც აზარალა.